„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ —2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის [illegible]ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება «დროების» რედაქციაში

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმ. ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქაღალდზე ნ. ი. წილოსანისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

(25—2)

სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლობის თანამდებობის მთხოვნელთ საცნობლად ვაცხადებ, რომ ეს თანამდებობა ითხოვა თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელმა, რომელიც საშინჯ გაკვეთილების მიუცემლად უნდა დაინიშნოს და ამ მიზეზით სხვებისათვის ადგილი აღარ იქმნება.

სკოლის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი.

(1—1)

## შინაური ქრონიკა

ბ-ნს ბენაშვილს შეუდგენია ქართული საეკლესიო გალობათა, მთელი წირვის წესის (კარბელოვის ხმებზე), და სახალხო სიმღერათა ნოტები. **გურული სიმღერები:** მაყრული, სიმღერა მელორისა, შაშვი კაკაბი, მუშური, საცეკვაო, ალზევანს წაველ, ჰარალალი, სიმღერა მუშაობის შემდეგ, დიანბეგი, მგზავრული, 2 მგზავრული, ჩავუხდეთ, ორი და ოქროს დიელა, აი და რირაივაშა, სუფრული, ოი და დელა, იავ-ნანა და ნანი-ნანა; **იმერ საქართველოს სიმღერები:** ოდელია ნანა დელა, დედამ რომ შვილი გაზარდოს, ოისა იავარა (მეგრულია), გალიაში რომ გაგზარდე, ნანის ორი, ჰასანბეგური, ოისა-იავარა (მეგრული), ყარანაი ყანაშია, იარამა შაიდა, მარიკელა ჯაშის ქალო, შავ ლეკა. დელი ოდელა, თოვლი ასტირდა, კუჩხი დაო, კუჩხი ბედნიერი, ჰეი, ჰეი, გენაცვალე ბებია, ვადონწყვირი ობიშხარ (მეგრული). ნოტები ხელ-ნაწერია ჯერ. ბ-ნი ბენაშვილი ამ ჟამად თბილისშია და დაეძებს ვისმე ფორტოპიანოზე დამკვრელს ნოტების გამოსაცდელად, შემდეგ კი სურს დაბეჭდინოს. ქართული «ტკბილი ხმები» დიდი ხანია ითხოვენ ბეჯით, მცოდნე მუშას და რამდენადაც ბენაშვილს ვიცნობთ (ბ-ნი ბენაშვილი ლოტბარია იმერეთის ეპისკოპოსის მგალობელთა ხოროსი), მას არ აკლია ეს ღირსებანი და ვისურვებთ, რომ მისგან შედგენილი ნოტები მალე დაბეჭდილი ვიხილოთ.

რუსულს გაზეთებში ვკითხულობთ თბილისიდამ გაგზავნილს ტელეგრამას მასზედ, რომ განჯის გუბერნიაში და განსაკუთრებით შუშის მაზრაში, რამდენიმე ინგლისელები ყიდულობენ დიდ-ძალს პურს და ბათუმისაკენ ჰგზავნიანო. ერთს შუშელ სოვდაგარს სამასი ათასი ფუთი პური შეუკვეთეს ამას წინად და ეს პური აგვისტოს 1-დამ სამის თვის განმავლობაში უნდა ჩაიტანოს კიდეც ბათუმშიო.

თუმცა, როგორც იტყვიან, ყურის ძირში გაგვიცარცვეს ფოსტა, შორს ვერც გამცარცველნი ავაზაკები წავიდოდნენ ჯერჯერობით, მაგრამ ნამდვილი ამბავი ვერა გავიგეთ-რა ამ გამცარცველებზე. ოფიციალურმა «კავკაზმა» გუშინწინ გვაუწყა — ცხინვალის ხიდზე დაიჭირეს ეს ავაზაკებიო, მაგრამ დღეს გამტყუნდა ეს ხმა და, როგორც ამბობენ, ავაზაკები თბილისის მაზრას გასცილებიან, გადასულან დუშეთისაში და თბილისის მაზრის უფროსსაც დუშეთის პოლიციისათვის მიუნდვია ავაზაკების დევნა. გზა ყოველის მხრით შეკრული აქვთ ავაზაკებს. თიონეთის მაზრის უფროსსაც მიუღია მონაწილეობა ავაზაკების შეპყრობაში.

აგვისტოს 11-ს დუშეთში თავი მოუკლავს სტუდენტს ტ. მიზეზი თავის მოკვლისა არ იციანო,—სწერენ «კავკაზს»; ვინც იცნობდა მიცვალებულს, ვერ იტყვის, რომ მას ჭკუიდამ შერყევის გამო არ მოეკლას თავიო.

ყარსიდამა გვწერენ: აქამდის გამოყრუებული ყარსელები ახლა დიდ მხიარულებაში არიან. გუშინ მოვიდა ცირკი, რომელმაც დიდი სიხარული მოჰფინა აქაურ ხალხსა. ორი საათის განმავლობაში მთელმა ქალაქმა იცოდა ეს «სასიხარულო» ამბავი და ქუჩაში მოსეირნე ხალხი ერთმანეთს ახარებდა: «ცირკი მოვიდა, ცირკიო!» ეს კარგი ნიშანი უნდა იყოს მეცირკეების ჯიბისათვის!»

იქიდამვე იწერებიან: «ყარსის მაზრაში არის სოფელი სამოათია, რომლის მცხოვრებნი ეკუთვნიან სირიელების ტომს და ლაპარაკობენ არაბულ ენაზედ; სარწმუნოებით ნესტორიანნი არიან. გუშინ ყარსში ჩამოვიდა მათი უმაღლესი სასულიერო პირი და თან ორი მღვდელი ჩამოჰყვა ტერ-იზრაილ და ტერ-აბრაამ. ამათ განზრახვა აქვთ მიართვან არზა საქართველოს ეგზარხოსს, რომ მათ სურთ მიიღონ მართლმადიდებლის სარწმუნოება. იმავე თხოვნაში მოხსენებულია ორმოცდა ათი სული კიდევ ორივ სქესისა. ეს განძრახვა ჩაუგონებია მათთვის ყარსის ოლქის და ალექსანდროპოლის ბლაღოჩინს მამა ესტატე აგიაძეს. გასულ წელსაც მამა აგიაძეს ქადაგებით მოინათლა ას ორმოცდა ათი სული.»

«მწყემსში» (№ 16) ვკითხულობთ: «სოფ. პიწისში, სადაც არც ერთი სკოლა არ ყოფილა აქამომდე, ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მღვდელმა სამსონ ანჯაფარიძემ თავის ხარჯითააშენა სამრევლო საეკლესიო სკოლისთვის სახლი, იყიდა სკოლის მოწყობილება და ავეჯულობა და თებერვლის 11-ს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ლოცვა-კურთხევით ოფიციალურად გახსნა სკოლა. როცა მამა სამსონ ანჯაფარიძემ მიიღო ყოვლად სამღვდელო გაბრიელისაგან ნებართვა სკოლის გახსნაზე, ერთ დღეს მოუყარა თავი მრევლს და აუხსნა სწავლის სარგებლობა და მასთან გამოუცხადა სამრევლოს, რომ მათი შვილების სასწავლებლად გარდახდებათ ძალიან მცირე ფასი.

«ეს სკოლა არის აშენებული ადგილობრივი ეკლესიის გალავნის მახლობლად, თვით მამა ანჯაფარიძის საკუთარს ადგილში, ასე რომ მრევლს არავითარიმე ხარჯი არ მოსვლია სკოლის აშენებაზე. გაიხსნა სკოლა თუ არა, მშობლებმა მაშინვე დაიწყეს ყმაწვილების შემოყვანა სკოლაში. სკოლის გახსნიდამ ივნისის თვემდე სკოლაში შესულა ოცდა-რვა ყმაწვილი; ამათში 7 ქალია და 21 ვაჟი. შეძლებული მშობლები იხდიან თავიანთ შვილების სასწავლებლად თვეში ხუთი შაურიდამ ორ აბაზამდე, ხოლო ობლების და ღარიბების მაგიერ თვითონ მ. ანჯაფარიძე აძლევს მასწავლებელს ფულს. რადგან ყმაწვილებისაგან შემოსავალი ძალიან მცირეა, ამიტომ მ. ანჯაფარიძეს მასწავლებელი ჰყავს თავის სახლში თავის საკუთარს ხარჯზე. ამა ივნისის თვეში მე და რამდენიმე სხვა პირნი, რომელთ შორის ზოგი რუსეთიდამ ჩამოსული სტუდენტები იყვნენ და ზოგი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შეგირდები, დავესწარით მ. სამსონ ანჯაფარიძის სკოლაში ბავშვების გამოცდაზე. გამოცდის დროს ყველა ყმაწვილები, რომელთაგან ზოგი თებერვალში შემოსულან სკოლაში და ზოგი აპრილის თვეში მშვენივრად კითხულობდნენ ქართულად და მასთან წაკითხული წერილის შინაარსის გადმოცემაც შეეძლოთ. მასთან ყმაწვილებს ამ მოკლე ხანში შეესწავლათ პატარა ლოცვები, საღმრთო ისტორიიდგან ზოგიერთი ისტორიული მოთხრობები და ანგარიში ათამდის. უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა საკმაოდ სწერენ ნუსხური ხელით. ერთი სიტყვით ამ ცოტა ხნის განმავლობაში ძალიან კარგად არიან მომზადებულნი ყმაწვილები. გამოცდის შემდეგ ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ მასწავლებლისა და აგრეთვე გულითადი მადლობა შესწირეს მ. სამსონ ანჯაფარიძეს ამ კეთილი საქმის მოთავეობისთვის.

«მომავალ წელში მ. სამსონ ანჯაფარიძეს იმედი აქვს, რომ მოსწავლეთა რიცხვი სკოლაში იმატებს და ამგვარად სკოლაც შეკეთდება და მასწავლებელსაც მოემატება საშუალება. ამასთანავე მ. სამსონ ანჯაფარიძე სკოლას სწირავს იმ ერთ ქცევა მიწას, რომელიც ეხლა სკოლას უჭირავს. უნდა [illegible], რომ სამაგალითოა ამ შემთხვევაში მ. ანჯაფარიძის საქციელი და იმედი გვაქვს,

რომ მ. ანჯაფარიძეს ჩვენს სამღვდელოებაში ბევრი აღმოუჩნდებიან მიმბაძველნი ამ კეთილ საქმეში და სამღვდელოება ამით გამოიჩენს ხალხის აღზრდა-სწავლაში იმ სიხალისეს და მუყაითობას, რომელსაც იჩენდა იგი წინა საუკუნოებში.»

⊖⊖⊖ ჰერევისის სოფლის მასწავლებელი (შორაპნის მაზრაში) გვთხოვს გაზეთის შუამავლობით მადლობა გამოუცხადოს ამ სოფლის საზოგადოებას მხრივ ბ. ზ. ი. ოგანეზოვს, რომელსაც 20 ეგზემპლიარი სამოსწავლო წიგნი შეუწირავს მისდამი რწმუნებულ სკოლისათვის.

## «დროების» კორესპონდენცია

**ქუთაისი**, აგვისტოს 18-ს. «უბედურს ადამიანს ქვა აღმართზე მოეწევაო», იძახიან დღეს ქუთათურები. ქუთაისს არ ეყოფოდა უფულობა, კოტრობა, უვაჭრობა, ცეცხლი, სასწავლებლებში უვაკანსიობა, «დანოსობა» და ათასი სხვა-და-სხვა უბედურობა, რომ ეხლა კიდევ მამულების შეკვრა (ზაპრეშჩენია) არ მიმატებოდა. ამას წინად ქუთაისის პ—ციამ, სახელმწიფო ბანკის მოწერილობის ძალით, ქუთაისის მცხოვრებლების მამულები შეჰკრა. თურმე იმ მამულების დაფასება, რომელნიც «პრიკაზში» არიან დაგირავებულნი, გარდამეტებულად უცვნიათ. «პრიკაზის» ვალს, ამ მამულებზე დარჩენილს, დღეს თითქმის მთელ ქუთაისის მცხოვრებლებს ახდევინებენ, რადგან მამულების დამფასებლები მცხოვრებლებისაგან იყვნენ არჩეულნი. აი ეს გახლავთ მამულების შეკვრის მიზეზი.

ამ საქმეზე მსჯელობა იყო ქუთაისის საბჭოში ამ თვის 17-ს. საბჭოს შუამდგომლობას მამულების განთავისუფლებაზე უბრალოდ ჩაუვლია. ქალაქის გამგეობისათვის უპასუხნიათ—ეს საბჭოს საქმე არ არის, საზოგადოდ ქალაქის ინტერესს არ შეეხება, კერძო ხასიათი აქვს და თვით მამულიბის პატრონებმა იჩივლონო. საბჭომ, დიდი ბაასის შემდეგ, გადასწყვიტა—მამულის პატრონებმა ყველამ თვითეულად საჩივრები დაიწყონ და საბჭოს შუამდგომლობასაც კვალად მისცენ მსვლელობაო.

სწორე გითხრათ—მოლიერის კალამი ვინატრე იმ სხდომის დროს, როცა ზევით მოხსენებული საქმე ირჩეოდა. რამდენს მასალას ნახამს აქ კაცი საოხუნჯოს. ერთის მხრით მჭევრ-მეტყველური სიჩუმე და მეორეს მხრით მჭევრ-მეტყველურივე ენა-ბორძიკობა. არის ერთი რიგი ხმოსანთა, რომელნიც მუდამ ჩუმად არიან და მარტო იმითი კმაყოფილდებიან, რომ ხმოსნის სავარძელი იშოვნეს. მეორე რიგი ხმოსანთა მუდამ ენას ატრიალებს, (ზოგიერთებზე არ ვამბობ) ჰკუას ძალას ატანს, მჭევრ-მეტყველობას ცდილობს და მჭევრ-მეტყველურადვე-კი აირევ-დაირევა ხოლმე. ეს კიდევ არაფერი. ქართული ენის წაბილწვა რაღა არის. «ჩვენი უსლოვიე», «უბიტკა გვაქვს», «პოლოჟენია ამბობს» «ულიცები ჩამოვიარე», «პროშენია მივართვათ»,—აი ამ გვარი ლექსებით ყურები გაჭედილი გაქვს. ვინმე კარაპეტას, ყობოს, კიდევ მიეტევება ამ გვარი ენის დამახინჯება, მაგრამ სამწუხარო ის არის—ამას სჩადიან ის პირნი, რომელთა პირდაპირს ზნეობრივ ვალდებულებას შეადგენს ენის სიწმინდის დაცვა. არ უნდა დაივიწყონ ამ ბატონებმა—ყოველივე საჯარო დაწესებულებანი არიან სკოლანი ენის განვითარებისა.

დღეს გაიარა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ. რიონის სტანციაზე მისს უმაღლესობას მიეგებენ: თავად-აზნაურობა თავის წარმომადგენლებით, ქალაქის თავი გამგეობის წევრებით, ამქრობა დროშებით და სხვა-და-სხვა საპატიო პირნი.

უკანასკნელად გაკვრით მსურს შევეხო ერთს მეტად საყურადღებო საგანს. ამ დღეებში შემხვდენ რამოდენიმე სამასწავლებლო სემინარიაში კურს-შესრულებულნი. როგორც სჩანს, სემენარიელები სოფლებს ერიდებიან და ცდილობენ ქალაქებში იშოვნონ ალაგი. მიზეზი ამისი ცხადია: ნივთიერად ხელის-სიმოკლე და უფერული ცხოვრება სოფლებში. ქალაქ ადგილას უფრო მეტს სარჩოს შოულობენ და ცხოვრებაც უფრო კარგი აქვთ. ეს მიზეზები, ბევრად თუ ნაკლებ, შესაწყნარებელია, მაგრამ რას იზამ, რომ ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა თხოულობს ყველასაგან თავის-შეწუხებას და მსხვერპლს. სოფლებში ძლიერ გვეჭირებიან ზნეობრივად და გონებრივად განვითარებულნი პირნი და ამ შემთხვევაში სოფლის მასწავლებელი შეუნაცვლებელი პირია. სოფლის მასწავლებელს სოფელში ბევრი რამ კარგი შეუძლიან გააკეთოს; ის უნდა იყოს მასწავლებელი არა მხოლოდ ბავშვებისა, არამედ მთელი გლეხობისაც. სოფლის მღვდელზე და სოფლის მასწავლებელზე და მათ სასარგებლო მოღვაწეობაზედ სოფლებში ბევრი თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. ყოველივე ეს გვაიძულებს სამასწავლებლო სემინარიის კურს-შესრულებულების სურვილი—ქალაქებში მოიდგან ფეხი, განვკიცხოთ და ვუწოდოთ მავნებლად საზოგადოებისათვის და ერის წარმატებისათვის.

ქუთათური მემატიანე.

## წერილი რედაქტორთან

თქვენის გაზეთის საშუალებით მინდა აღვნიშნო ერთი ფრიად სასიხარულო მოვლენა, რომელსაც ჩვენს უფერულს, მიყუჩებულს და ერთ გვარად მიმდინარე ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ამ დღეებში ბათუმში მყოფმა ცირკის მმართველმა ბ. ტაურეკმა გამართა წარმოდგენა, საიდგანაც ნახევარი შემოსავალი, ხარჯის გარდა, 132 მ 22 კაპეიკი უნდა გარდაეცეს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» ბათუმის სკოლას. იმის გარდა, რომ თაოსნობაც და გულ-მხურვალე მონაწილეობაც ამ საქმეში ბათუმელს ქართველებს ჩვეულებრივ არ დაუკლიათ, ყველა მათგანი ამ სასიამოვნო სიტყვებს გაიძახოდა: «კაცო, ჩვენი სკოლის სასარგებლოდ არის წარმოდგენა ცირკში, წავიდეთ». სასიხარულო როგორ არ არის ეს საქმე.

მწერლობასთან ერთად პროვინციებში გაფანტული ახალგაზდობა უნდა ეცადოს ამ საზოგადობრივი გრძნობის გამოფხიზლებას და მოსურიელებას. ტყუილად კი არა სთქვა ერთს კერძო ლაპარაკში ერთმა ჩვენმა პატივცემულმა პირმა, რომ ინტელიგენცია ერთ ადგილს არ უნდა შეიჯგუფოს, იგი უნდა იყოს აქა-იქ პროვინციებში გაფანტულიო. ყველა კუთხეებში ჩვენის საქართველოისა რომ იმართებოდენ წარმოდგენები, კონცერტები, საღამოები, მაშინ ნელ-ნელა გაიღვიძებს ხალხში თვით-შეგნების გრძნობა; დავანებოთ თავი, ბატონებო, იმას, რომ ამ გვარი საქმეებიდგან ფულიც შემოდის, რომელიც ეხმარება საზოგადო დაწესებულებათა; მარტო ისიც საკმარისია, რომ ამ გვარი კოლექტიური შრომა ავარჯიშებს, წრთვნის საზოგადობრივს გრძნობას, ურომლისოდ ახლა ჩვენ არ შეგვიძლიან ამოვუდგეთ კვალში პროგრესა.

გულითადს მადლობას ვუძღვნი სრულიად ბათუმის ქართველობას და ქვემო აღნიშნულთ პირთ კერძოდ, რომელნიც ამ გვარს საქმეებ ხელს კი არ უცარამენ, არამედ ეხმარებიან: ბ.ბ. ტაურეკს თვისის მსახიობებითურთ, ვ. ნიკოლაძეს, ზ. ქანდელაკს, ი. ჯაიანს, სურგულაძეს, ზეგენავას, თ. ქ. აბაშიძეს, კონდრატიევს, ომერ აღას, სალიხ-ბეგ აბაშიძეს, ს. თოფურიას და პარიკმახერს არსენას. გულითადი მადლობა მმართებს განვუცხადო მთლად დრუჟინის აფიცრებს, რომელნიც ყველაზე გულ-მხურვალედ ეკიდებიან ყველა ჩვენი სკოლისთვის გამართულს წარმოდგენებს. მადლობას ვუძღვნი ამ შემთხვევაში დახმარებისთვის დრუჟინის კომანდირს ბ. ჩიქოვანს და იულია დავითის ასულს ჩხეიძისას.

ბათუმის სკოლის მასწავლებელი
მ. ნათაძე.

მარიამობისთვის 15-ს.

## რუსეთი

◆◆ ჰაეროსტატების მოხელეთ უფრო კარგი დარი დაუდგათ რუსეთში. რუსის მმართებლობამ უარ-ჰყო იაბლოჩკინის ელექტრონული განათება. იაბლოჩკინი წავიდა საზღვარ გარეთ და ამისმა ელექტრონულმა ფარანმა პირველად პარიჟის ქუჩები გაანათა. დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა რუსის ინჟინერმა მოაწყო თოფის-ჩახმახზე სამიზნებელი, რომლის შემწეობით დიდს მანძილზე შესანიშნავის სისწორით მიდიოდა ტყვია. რუსის მმართებლობამ, «იაბლოჩკინის [illegible]» არ იყოს, უარ-ჰყო ეს გამოგონება და, როგორც ამბობდენ იმ ხანებში, ხსენებულმა ინჟინერმა გერმანიის მმართებლობას მიჰყიდა თვისი გამოგონებაო. ჰაეროსტატის გამოყენება უკვე დაიწყეს აქ. ამის შემწეობით ჰაერიდამ იღებენ ფოტოგრაფიულ ქართებს ჰაეროსტატის საქმეს დღით-დღე აწარმოებს მეცნიერება; მომავალში მას ერთი უდიდესი მნიშვნელობა ექმნება სამხედრო საქმეშიაც.

◆◆ რუსეთის დედა-ქალაქის, პეტერბურგის მახლობლად, სოფელს მურინოში მომხდარა მკვლელობა; მსხვერპლი ყოფილა სამოც-და-ათი წლის მოხუცი, ამავე სოფლის გლეხი. სოფელში ყოფილა ეკლესიის დღესასწაულობა. ნასადილევს, როცა სოფლის გლეხებს «რჯულზე» ჩაუვლევიათ, ერთს «პარენს» უთავებია მუშტი-კრივის გამართვა, და ის იყო უნდა დაეწყოთ თურმე კრივი, თუ ხსენებული მოხუცი არ გამოსულიყო და არ შეეშალა ხელი.

— ნუ იქთ მაგას!.. ნუ იქთ... უმჯობესია სიმღერა გამართეთ ან სხვა რამ თამაშობა—არიგებდა მოხუცი, რომელსაც ასეთი დარიგებისათვის არა ერთი წყენა შეხვედროდა თურმე სოფლის ახალგაზდათაგან თვის მოხუცებულებაში.

— დაჩუმდი, ბებერო სოკო! დროა შენი სიკვდილისა, მივარდნია ბრაზ-მორეული ერთი ახალგაზდა და გაურტყამს მოხუცისათვის საფეთქელში მუშტი. საბრალო მოხუცს მცირე ხნის შემდეგ სულიც განუტევებია.

◆◆ მეორე, კიდე უკეთესი ამ პირველზე, შემთხვევა კაცთ-მოყვარეობითი გრძნობისა:—თეოდოსიაში ერთს სალდათს დაუწერია ჯვარი. ჯვარის წერის შემდეგ, ერთს დღეს ამ სალდათს მოჰგონებია თვისი ადრინდელი მატრენა პაპჩენკოვისა, ლაზათიანად გადაუკრავს და წასულა მასთან. გალოთებულს დიმიტრი კოსოვს მალე დასძინებია საყვარლის ლოგინზე მის მშვენიერს მატრენას გაღვიძებია შური, წამომდგარა, აუღია დანა და დაუკლავს ახლად ჯვარ-დაწერილი კაცი: «ჩემს შემდეგ, არც სხვასაო»—დაუყოლებია მატრენას... კოსოვი წაუყვანიათ საავადმყოფოში, პაპჩენკოვისა დაუტუსაღებიათ და საქმე ნივთიერის საბუთებით გარდაუციათ გამომძიებლისათვის.

◆◆ ბროდნოში გადამწვართათვის დიდი ფული გროვდება პოლშაში და განსაკუთრებით ვარშავაში, სადაც გაზ. «Новости»-ს სიტყვა «Dla pogorzelców» (პოლშურ ენაზე საოცრად საღდება. პოლშაში საზოგადოდ და ქალ. ლოძში, რომელიც თითქმის ნემეცურ ქალაქად ითვლება, ათასობით გავრცელებულა ეს გამოცემა. მაგრამ გალიციის ქალ. კრაკოვში და ლვოვში სულ ათი წიგნი თუ გაიყიდაო. ვარ-

შავაში მზადდება აგრეთვე ხსენებულ გადამწვართა სასარგებლოდ ახალი გამოცემა პოლშურსავე ენაზე—«Smiech dla lez».

◆◆ «Новости» ძრიელის წერილით არჩევს მომავალ წლის სახელმწიფო ხარჯთა აღრიცხვას და, სხვათა შორის, ყურადღებას აპყრობს სახაზინო შენობებს. «ზოგიერთი უწყებანი—ამბობს გაზეთი—ჰფლობენ უშველებელ სადგურებს, რომლის უმეტესი ნაწილი უჭირავთ ამ უწყებაში მოსამსახურე პირთ, თუმცა ხშირად ამ პირთ ამის უფლება არა აქვთ, რადგან სამსახურში შესაფერი ხარისხის ადგილი არ უჭირავთ; ხაზინა კი აუარებელს ფულს ხარჯავს ამ სადგურების ქირის და შეკეთებისათვის. ამავე დროს ზოგიერთნი დაწესებულებანი ერთობ ძვირად ჰქირაობენ სადგურებს. მეორე ამ გვარივე საგანია გზის ხარჯი იმ მოხელეებისათვის რომელნიც მთავრობისაგან იგზავნებიან ხოლმე სადმე; ხაზინა აქაც დიდს ფულს ხარჯავს, თუმცა მოხელის გაგზავნა ხშირად არა თუ საჭირო არ არის, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, ნამდვილად არც კი ხდება ხოლმე ეს გაგზავნა.»

## უცხოეთი

◆◆ მეტი მოსისხლე მტერთაგანი ინგლისისა კოლონიალურს პოლიტიკაში გერმანია არის. მაგრამ ვენის ოფიციალური გაზეთის «Poll Corresp»-ის ლონდონელი კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლისის გარეშე სამინისტროსთან დაახლოებულნი პირნი ხშირად ლაპარაკობენ ამ ბოლოს ხანებში მასზედ, რომ, ვითომ, სალისბიურისა და ბისმარკის შორის მორიგება ჩამოვარდნილიყოს ბევრს საყურადღებო პოლიტიკურ საგნების შესახებ. თუმცა უბრალო მორიგების ჩამოვარდნასა და ამ მორიგების ფორმალურად შეკვრის შორის დიდი მანძილია,—განაგრძობს კორესპონდენტი,—მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ სალისბიურიმ ამ მორიგებაზე მოლაპარაკება მაინც გამართა ბისმარკთან და ამით ასცდა მის წინა-მოადგილის, გლადსტონის პოლიტიკას ამ შემთხვევაში. ამ ჟამად რომ გადაწყვეტილი შეთანხმება შეუძლებელია—ამას ორთავე მხარენი გრძნობენ, რადგან ნოემბრის ამორჩევები, ვინ იცის, რას მოიტანს, მაგრამ, ყოველს შემთხვევაში, ეს ვერ დაუშლის ხელს მოლაპარაკებას და მომავალში ფორმალურ მორიგებისათვის აქედამვე მზადებას. ლონდონში დიდი იმედი აქვთ, რომ გერმანია ხელს შეუწყობს დრუმონდ ვოლფის მისიას სტამბოლში; იმის იმედიცა აქვთ, რომ ეგვიპტეს საქმე ამორჩევებამდის დამთავრდებაო. რაც შეეხება ავღანის საქმეს—ეს უფრო ძნელად მოსაგვარებელია და, საეჭვოა, რომ გერმანიამ რაიმე დახმარება გაუწიოს ამ შემთხვევაში ინგლისს. აქ არაფრად სჯერათ რუსეთში გავრცელებული ხმა, რომ ზულფიკარის საქმე მალე გადაწყდებაო. ინდოეთის მმართებლობა აღრინდებულად დარწმუნებულია, რომ რუსები პირველსავე მარჯვე შემთხვევაში გაემართებიან ჰერათისაკენ და ეს არის მიზეზი, რომ ხსენებული მმართებლობა აღრინდულადვე ემზადება.

## ძველ ნაშთთ მოყვარეთა საყურადღებოდ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ალაგი თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ მცირე წერილს. საქართველოში, რომელიც იყო ძველად სამუშტრო ლუკმა, დღეს ხშირად ვეღარ შეხვდებით ძეგლთა, თუ ნივთთა, რომელნიც დაგვიხატვენ ძველს დროს. შორს არ გამოვეკიდები და მაგალითებს მოვიყვან აქვე: მეფის მორთულობა და მის ამალისა (მირიანისა) სურათი, რომელიც არის დახატული სვეტი-ცხოვლის ტაძარში მარცხნივ დასავლეთით იმ სვეტზედ, სადაც მოჩანს ადგილი აღმომდინარის მირონისა, დროთა ვითარებით თანდა-თან გადადის და იშლება, ასე რომ დაიკარგება ერთიანად ოდესმე. იმავე სვეტზედ სხვასაც მრავალს სურათს იხილავთ, მაგრამ ცარიელი ნახვა რა გამოვიდა, რაკი ის ერთად-ერთი ენა მოხუცის ტაძრისა-მხატვრობა გარდაიშლება! ამასთანავე საყურადღებო სურათებს წარმოადგენს ყოვლად წმიდის ეკლესია, ბორ. მაზრაში ს. ნაბახტრევის თავში, რომელიც არის აღშენებული 1348 წ. ჟუცნა ამირეჯიბისაგან. ეს ეკლესია (ციხის გალავანში მოქცეული და გარეშემო მოჩანს გალავნის კვალი) და ციხეც ისეთ მიუდგომელს ადგილზეა მტრისათვის, რომ ერთი კაცი ათას კაცს გასცემდა პასუხს იმ დროში. ამით აიხსნება რომ საფუძველი და კედლები იმ ეკლესიისა საკურთხევლის ცით ისევე ხელუხლებელია და დროსა და ჟამისაგან ეკლესია წარმოადგენს კიდობნის მგზავსებას (თალი ჩამონგრეული აქვს) თლილის ქვით ნაშენს, შიგნიდამ კი გალესილს ისეთი თეთრის და მყარის გაჯით, რომ საკვირველებაში მოჰყავხართ ხელოვნებას მაშინდელ ხელოსანთა. სიგრძე არის 40 ბიჯი, სიგანე 17 ბიჯი, სიმაღლეც უნდა იყოს 4½ საჟენი. შესავალი აქვს ერთი კარი, ისიც ჩრდილოეთით. პირ-და-პირ წარმოგიდგებათ სურათი ალექსანდრე მეფეთ მეფესი მშვენიერის მხატვრობით, სრულის ტანით პორფირით და სრულის სამკაულით; მის დასწვრივ არა ნაკლებ ახოვანი ჟუცნა ამირეჯიბი თავის ცოლით, და სამი სურათიც ახლო. ზედ ნაწერებიცა აქვს დასავლეთის მხრივ შეჰხედავთ: სულ მაღლა მეორედ-მოსვლა ა—ძე ღვთისა საყდართა დიდებისაზე მჯდომარე და ანგელოზნი მისთანა, ქვევით დასწვრივ ლაზარე გლახაკი და მდიდარი, რომლის ტაბლაზედ (სტოლზედ) მოჩანს ბოლოკი, ხახვი, სანთელი და სხვა შესაქცევი და კუთვნილება მდიდარის მოსადილესი. თავზედ ადგანან მომღერლები თარის მგზავსი საკრავებით, შორიახლოს დახატულია გლახაკი ლაზარე. დასწვრივ სულნი მართალთა და ცოდვილთა, ცეცხლის მდინარე და სხვა-და სხვა მხეცთა და თევზთა მოაქვთ: ზოგს მკლავი, ზოგს თავი, ზოგს ფეხი და ზოგს რა ასო კაცის სხეულისა.

საკურთხეველს შეხედავთ და არა ნაკლები საყურადღებო სურათები და წარწერები შეგხვდებათ. ტანკელს (ქვისა არის თახჩებით) ასწვრივ თალზედ დახატულებია წინასწარმეტყველნი ბერძნულის წარწერით; ჩრდილოეთის კარებში შეხვალთ და ნახავთ სურათს წმ. ეპიფანესას. კედლებზედ მრავალი წარწერილობაა ხუცურად, ბერძნულად და ლათინურად.

ნაბახტრევის სოფლის ბოლოს გდია ერთი დიდი ქვა დედაკაცის სახით, რომელიც ხალხის აზრით თუ პირაღმაა, მაშინვე წვიმა მოვა, თუ პირქვე და წვიმა აღარ მოვა.

სოფელს ვაკაში არის ეკლესია, კოშკით და სამი სამწირველოთი და შესანიშნავი მით რომ «სამი სამწირველო იყოვო, სადაც ფრანგის მღვდელი, ქართველისა და სომხისა სწირამდენო,» როგორც მომითხრეს მოხუცთა.

ციხის ახლო არის სომხის ეკლესია, რომელშიაც ინახვე შესანიშნავი ნივთი და, თითქმის იმან მაიძულა დაწერა ქვემო მოყვანილისა. ეს ნივთი წარმოადგენს იმნაირსავე მიტრას, როგორც ჰხანს «წმიდა მეოფიტე ურბნელზედ», რომელიც დახატულია «საქართველოს სამოთხეში».

ჯვრის ირგვლივ ზემოდ დახატულია ხუთი საუფლო დღესასწაული და აწერია: აღდგომა, ხარება, შობა, ნათლისღება და ფერიცვალება. ქვემოდ ირგვლივ წარწერაა მხედრულად იქვ «ქ ეჰა შენ შემწეო და მფარველად მარადის სავედრებელო სასოვო და შესავედრებელ ყოველთა ქრისტიანეთა დედაო ღვთისაო მე ფრიად ცოდვილ მემცხედრემ მდივანის ავთანდილისმან, ხამფერვან მოვაჭედინე შევიმკე და შემოგწირე გვირგვინი ესე·:· ტაძრისა შენისათვის·:· ვქმენ დებულ ვაკას სასოფლოსა ჩვენსა·:· და·:· ასულისა ჩვენისა·:· მარიამისა ·:· სალხინებლად·:· მწე გვექმენ·:· ძისა შენისა წინაშე·:· რათა არა უგულებულს ჰყო მცირე ნამუშაკევი საფარველისა მისისა·:· შიგან შევრდომილ·:· ამყოფოს·:· ძე ცოდვილი ჩემნი მდივან ბეგთა-ბეგ ყარან და ბექან. ქორ. უჱ. მაისის ა»,

იმრგვლივ რკალზედ აქვს ოცდა თექვსმეტი თეთრი ქვა და ცხრა მარჯანი დიდრონები, ცერის თითზედ ცოტა რამ პატარები. ხატები ირგვლივ როგორადაც ზემო აღნიშნულს გვირგვინზედ: იესო ქრისტე, სულის წმ. მოსვლა. ამ ხატიდამ მარცხნივ: მოციქულნი: პავლე, მათე, ლუკა, (ჯვარია აქ და შემკულია ხუთი ქვით) იაკობ, ანდრია, მარკოზ (ჯვარია მწვანე და ლალის ქვებით რომელთ ზურგს უკან რაღაც [illegible] ამოკვეთილი) იოანე [illegible] კარგი იქნებოდა, რომ ყურადღება მიექციათ და ეს ძვირფასი ნივთი არ დაიკარგოს, ან ის წარწერა არ გადაშალონ. სომხის ეკლესიაში ეს გვირგვინი ს. ვაკაში.

მნახველი.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აგვისტოს 17-ს.

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით ენკენისთვის 2-ს უნდა მოხდეს პეტერბურგში რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს საერთო ზომათა მიღებაზე ყველა გზებისათვის ახალის სარკინის-გზო კანონის დახედვით.

კიევი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორა და იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩით, დ. თ. გიორგი და ვლადიმერ ალექსანდრეს მეუბითურთ, პეტრე ნიკოლოზის მით და დ. კ. მარიამ პავლეს ასულით მობრძანდნენ კიევო-პეჩერის ლავრაში, სადაც უავგუსტოეს სტუმართ გამოეგება მიტროპოლიტი პლატონი სამღვდელოებით, ჯვრით და ნაკურთხის წყლით. წირვას შემდეგ უავგუსტოეს სტუმართ მიტროპოლიტისას მიართვეს ჩაი. ნაშუადღევის პირველს საათზე მოხდა ჯარების პარადი. ჯარებს ბრძანებლობდა გენ. ადიუტანტი დრენტელნი. პარადთან მისვლისთანავე იმპერატრიცა და დ. კ მარიამ პავლეს ასული გადასხდენ შარაბანში, რომელშიც შებმული იყო ოთხი თეთრი ცხენი. ხელმწიფე იმპერატორმა, მემკვიდრე ცესარევიჩმა და დდ. თთ. ცხენებით ჩაუარეს ჩამწკრივებულ ჯარებს და შემდეგ დადგნენ სამეფო ადგილზე, რომელიც საუცხოოდ იყო მორთული ყვავილებითა და ფოთლებით იმპერატრიცა და დ. კ. მარიამ პავლეს ასული შებრძანდნენ კარავში, რომლის გვერდით მარჯვნივ გამართული იყო ამაღლებული ადგილი ხალხისათვის და ქვევით შეგროვილიყვნენ კიევის, ვილნის და პოდოლის გუბერნიის აზნაურნი. ჯარმა ცერემონიის მარშით ჩაუარა სამეფო ადგილს, ცხენოსანი ჯარი და არტილერია სხვა-და-სხვა ნაბიჯით მიდიოდა. ყველა ჯარები ელირსნენ მეფის მადლობას და შემდეგ ხელმწიფემ ყოვლად-მოწყალედ ინება ლაპარაკი რუმჩუკის რაზმის ოფიცრებთან, გამოჰკითხა თუ ვინ სად მიიდო ჭრილობა. შემდეგ მათ უდიდებულესობათ და უმაღლესობათ დასტოვეს პარადის ადგილი; ოფიცრებმა, ჯარმა და ხალხმა აღტაცებულმა „ურა“ გასცილეს პარადის შემდეგ. მათ უდიდებულესობათ წარუდგენ სამოქალაქო დაწესებულებათა უფროსნი, აზნაურნი და ქალაქის მანდილოსანნი. საღამოს 6 საათზე დიდებულნი სტუმარნი გავიდნენ მდ. დნეპრის ხიდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემდეგ გემით ინებეს გასეირნება. ქალაქი გაჩირაღდნებულია; ხალხის აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

## ბირჟა

### პეტერბურგი აგვისტოს 19.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | 24 $24\frac{1}{8}$ $24\frac{1}{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $204\frac{1}{4}$ $205\frac{1}{4}$ $204\frac{1}{2}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $252\frac{3}{4}$ $253\frac{1}{4}$ 253 |
| პოლუიმპერიალები — | $8\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | $8\frac{1}{8}$ მ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 53 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | $5\frac{1}{2}$ და $6\frac{1}{2}$% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | $99\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $98\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | $97\frac{3}{4}$ მ. მყ. |
| მეოთხე გამოც. — — | 97 მ. 37 კ. მყ. |
| მეხუთე გამოც. — — | $97\frac{3}{4}$ მ. მყ. |
| 5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — | 96 მ. 87 კ. გაყ. |
| მეორე გამოც — — | 97 მ. მყ. |
| მესამე გამოც. — — | 97 მ. 12 კ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $220\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $213\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | $173\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. $88\frac{3}{4}$ მ. გამყ. |
| | 43 წ. $88\frac{1}{4}$ მ. მყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 89 მ. გამყ. |

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 16 მარიამობისთვიდამ 1 ენკენისთვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ |

**ძროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ | 6 კ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 5 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 13 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 7 კ |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა - | 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 | — | გ |

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის
**თბილისიდამ ბათუმისაკენ**
8 საათზე და 35 წამ. დილით.
**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**
10 საათ. 25 წამ. ღამით.
**თბილისიდამ ბაქოსკენ**
10 საათზე 55 წამზე ღამით.
**ბაქოდამ თბილისში შემოდის**
8 საათ. დილით.
**თბილისიდამ სურამისაკენ**
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.
**სურამიდამ თბილისში შემოდის**
8 საათზედ 24 წამ. დილით.


# განცხადებანი

**აძლევენ**

ქირით სადგურს

სადილ ვახშმით და მუსიკით. მდგმური უეჭველად ქალი უნდა იყოს. «კონიუშენნი» ქუჩა № 8, სახლი თ დი არღუთინსკისა. (5—4)

**სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს**

ქუთაისის გუბერნიის და განსაკუთრებით მეგრელის თავად-აზნაურთა საცნობლად, რომ 1885 წ. ენკენისთვისათვის I განყოფილებაში ოც-დაცამეტი ვაკანსია იქნება, II მეორეში—ორი (2), III მესამეში—(4) ოთხი და IV მეოთხეში (15) თუთხმეტი. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მეორის, მესამისა და მეოთხისათვის განყოფილებათა შესაფერი ეგზემენი უნდა დაიჭირონ; თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე აგვისტოს 20-დგან 29-მდის და ამასთანავე წარმოადგინონ წლოვანების და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. სწავლა პირველ ენკენისთვეს დაიწყება, თუ მანამდის სახლი მოსრულდა.

ამა მდგომარე წლის საბანკო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, სასწავლებელი მთელი გუბერნიის თავადაზნაურთათვის არის დაფუძნებული და ვისთვისაც სამხროა, ყველას უფლება აქვს ამ სასწავლებელში შვილი შემოიყვანოს. (10—9)

**ისყიდება**

ახალი სახელმძღვანელო წიგნი

**ქართული**

# ქრისტომატია

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

**ფასი თოთხმეტი შაური.**

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეკზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება (25—9)

ყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

# „თეატრი“

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ და-პირი თავის დანიშნულებისა, ესე იგი ადგილობრივი თეატრების, (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, „თეატრი“, თვალს ადევნებს კიდევ ჩვენს ლიტერატურასაც დრო გამოშვებით „თეატრ“-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველებისთვის, საყურადღებო ამბებს. საზოგადოთ პროგრამა „თეატრისა“ შემდეგია:

ა. მოწინავე წერილები.
ბ პიესებისა და წარმოდგენების რეცენზიები.
გ კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
დ. კორესპონდენციები და ყოველ გვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდამ.
ე. გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით.
ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვ.

ზ ფელეტონი: თეატრის შესახებ სცენები. დრამატიული ესკიზები, ლექსები, სამღერალი კუპლეტები, რომანსები, მოთხრობანი, ამბები, მოგონებანი და სხვ.

ჱ. ანეგდოტები, გამოცანები, რებუსები. შარადები და სხვ.
თ. ყოველ-გვარი ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენს ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრს» აღუთქვამს თანამშრომლობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. ფასი «თეატრის»-სა: წლით როგორც ქალაქისა, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ხუთი (5) მანეთი. ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანავე 3 მანეთი, მაისში 1 მან. და მარიამობის თვეშიაც 1 მან. სხვა ვადით ხელის—მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—მმ ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Театръ“. Баронская улица, домъ Тамамшевой. № 16.

ენკენისთვემდის, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: **Тифлисъ. Книжный Магазинъ Григорія Чарквіани.** წერილებიც ამ ადრესითვე უნდა გამოიგზავნოს.

(5—4) რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

## ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | | 1 მან. — კაპ. | ჩაის | სხვაგან | 1 მან. 20 | დირებულს. |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1 — 50 | — |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 — 80 | — |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 — 20 | — |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 — 50 | — |
| ,, | ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 — 80 | — |
| ;, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 — ,, | — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

### ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—28)